

# გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

უფალო, მოკმაღლე ქართველ ერს, მთავრობას და მსოფლიოს  
 მისას ქრისტესმიერი სიძლავლე, სიმშვიდე, მოწყალეობა,  
 უმანკოება, მარხულობა, სასოება და მამულის სიყვარული!

## საქართველო



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინდ ბეჭდ-  
 უბი სიფყვას, ფედილებით და ჭბრებით ბუბ-  
 თის გაფანა ყველა უკადრისბზაგი უსამაგლესია.

ბაილი 1918 წლის  
 25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ბარასკევი-სამშაბათი, 30 აპრილი-4 მაისი. 2021 წ. №93-94 (9212-9213) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი



აკაკი წერეთელი

## ქრისტე აღდგა!

მარიამ იაკობისა,  
 მარიამ მაგდალინელი  
 ქრისტეს საფლავის მძებნელი  
 მოსულან ნელსაცხებლითა,  
 რათა სცხონ გვამსა დიდებულს,  
 მაგრამ შემკრთალან, რომ ხედვენ  
 დიდ ლოდსა გადაგორებულს.  
 მკვდარი არსადა სჩანს!  
 და მარჯვნივ  
 ჭაბუკი ვინმე მდგომარე,  
 სპეტაკი შესამოსლითა,  
 ნათლითა მოსხივცისკარე,

მათ ეუბნება: „რად უკრთით?  
 ანგელოზი ვარ მე მცველი.  
 აწ გინაროდენ: ზე აღდგა  
 იესო ნაზარეველი!“  
 მუნელსაცხებლეთ აევსოთ  
 სინარულითა მყის გული  
 და მიანარეს ქვეყანას:  
 „აღდგათ მკვდრეთით ჯვარცმული!  
 აღდგა, ვინც სისხლი დაჰთონია  
 ახალი რჯულის დგრიტასო!“  
 ცა და ქვეყანაც პასუნად  
 იძახის: „ქეშმარიტადო!“

**აფხაზეთი  
 სხელენიფოებრიობას  
 ქარბაპს!** 8

**გვიჯობს, საქართველოს  
 უმაღლესობაში  
 უფილეთ, ვიღრა რუსეთის,  
 ქართველები აფხაზეთი  
 ეთნოსის გადაუენებას  
 არ დაუზვებენ!**

**იხ ვაქსინით** 6  
**უნდა ავიცრათ,  
 რომელიც  
 ხელმისაწვდომია!**

„ჩინურ ვაქსინაზე და არა მარტო...“

**ხელისუ-** 10  
**საგომბანები**

**ნონა  
 გაფრინდაშვილი  
 - 80**

# სალომე ზურაბიშვილი: ქართული ჯარი არის ერთიანობის უდიდესი მაგალიტი



დღეს ქართული ჯარი 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ 30 წელი კი არა, ქართული ჯარი საუკუნეების ითვის და ჩვენი დღევანდელი ჯარი არის საქართველოს მიერ გადახდილი ყველა

ომის ღირსეული მემკვიდრე, — ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა თავდაცვის ძალების 30 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

„დღეს ჩვენ გვყავს მალალი სტანდარტის თავდაცვის ძალები, რომლებიც მრავალი წელია მონაწილეობენ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და თავისი წვლილი შეაქვთ გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ბრძოლაში. ჩვენი სამხედროების პროფესიონალიზმი და ბრძოლისუნარიანობა ყოველთვის მალალ შეფასებას იმსახურებს. საერთაშორისო თანამეგობრობა, ჩვენი პარტნიორები — ყველა ნდობას უცხადებს ქართულ ჯარს, ანუ ნდობას უცხადებს საქართველოს. ეს 30 წელი იყო ქართული ჯარის ჩამოყალიბებისა და გამოცდის მძიმე წლები — მისი ბრძოლა ეროვნული ინტერესებისთვის, ეროვნული ღირსებისთვის, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო. ეს იყო ბრძოლა ჩვენი დასავლური, ჩვენი ევროპული არჩევანისთვის, ღირსეული მომავლისთვის. ამიტომ საზღაურად იყო დიდი — მრავალი გაღებული სიცოცხლე, დაკარგული ჯანმრთელობა, დაობლებული ოჯახები. ქედს ვიხრით დაღუპულთა წინაშე, პატივს მივადგებთ მათ სსოვნას“, — განაცხადა პრეზიდენტმა. მან ხაზი გაუსვა დაშვებულ სამხედროებსა და ვეტერანებზე ზრუნვის აუცილებლობას და თავის გამოსვლაში აქცენტი ქვეყნის მიზნებზეც გააკეთა.

„ჩვენი ვალა ვიზრუნოთ მათზეც, ვინც საკუთარი ჯანმრთელობა შესწირა სამშობლოს. ჩვენი ვალა სათანადოდ დაგვფასოთ ვეტერანთა ღვაწლი, გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, არ მოვკლოთ ზრუნვა და ყურადღება. წინ შესასრულებელი ამოცანებია, ჩვენი მთავარი და უცვლელი მიზნები — დეოკუპაცია და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მათ შესასრულებლად საქართველოს სჭირდება უწყვეტი და ეფექტიანი თანამშრომლობა ჩვენი სტრატეგიულ პარტნიორებთან, წვრთნები, სწავლებები, უახლესი სამხედრო-ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი პირადი შემადგენლობა და ჩვენ გვჯერა მათი მხარდაჭერის და ამისთვის მადლობელი ვართ.

ქართულმა ჯარმა პანდემიის მძიმე თვეებში დიდი დახმარება გაუწია საქართველოს მოსახლეობას, გამოიჩინა მალალი ორგანიზებულობა და უნარი ნებისმიერი გასაჭირის დროს იდგეს ქვეყნის სამსახურში, აკეთოს ის, რაც საჭიროა მოცემულ მომენტში. თუმცა, პანდემიამ გლობალური მასშტაბის ამოცანებიც დაგვისახა. მან შეცვალა მსოფლიო უსაფრთხოების წესრიგი, რაც გამოწვევად იქცა ჩვენთვისაც. ჩვენ ვიღებთ გამოწვევას და შეგვწევს მასთან გამკლავების ძალა. საიუბილეო თარიღი საერთო დღესასწაულია და ის მთელს საქართველოს აერთიანებს. ქართული ჯარი არის ერთიანი, აპოლიტიკური, ქვეყნისა და მისი ხალხის ერთგული და ამდენად, ერთიანობის უდიდესი მაგალიტი“, — განაცხადა ზურაბიშვილმა. პრეზიდენტმა სამხედრო მოსამსახურეებს დღევანდელი დღე მიულოცა და სტრატეგიულ პარტნიორებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. თავდაცვის ძალების 30 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გაიმართა.

## ირაკლი ღარიბაშვილი: სამუბლოს დასვა სისლში გვაქვს გამჯდარი!

ჩემთვის დიდი პატივი იყო და მემამყება, რომ მინისტრის რანგში ქმედითი ნაბიჯები გადავდგით თავდაცვის ძალების გაძლიერების, აღმშენებლობისა და განვითარების მიმართულებით. პრემიერ-მინისტრის რანგში კი გპირდებით, გაგრძელდება და კიდევ უფრო გაძლიერდება ჩვენი ძალებისთვის თავდაცვის ძალების განმტკიცების, თანამედროვე, ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტების დანერგვის, შეიარაღების მოდერნიზების და სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის ღირსეული სოციალური პირობების უზრუნველსაყოფად, — ამის შესახებ საქართველოს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსების 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

30 წელია ჩვენი სამხედროები საქმითა და თავდადების პირადი მაგალითებით ამტკიცებთ, რომ ქართველებს სამშობლოს დაცვა სისლში გვაქვს გამჯდარი. განვლილი 30 წლის განმავლობაში, ოკუპაციისა და გამოწვევების მიუხედავად, მიღებული გამოცდილებით, შრომითა და თავდადებით, წვრთნებით და მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობით

თავდაცვის ძალები ჩამოყალიბდა, როგორც თანამედროვე, მოტივირებული, ბრძოლისუნარიანი და ნატოსთან თავსებადი ძალა. ის დღეს ქვეყანაში ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ნდობის მქონე სახელმწიფო ინსტიტუტია. ჩემთვის დიდი პატივი იყო და მემამყება, რომ ამ პროცესში, მინისტრის რანგში ქმედითი ნაბიჯები გადავდგით თავდაცვის ძალების გაძლიერების, აღმშენებლობისა და განვითარების მიმართულებით. პრემიერ-მინისტრის რანგში კი გპირდებით, გაგრძელდება და კიდევ უფრო გაძლიერდება ჩვენი ძალებისთვის თავდაცვის ძალების განმტკიცების, თანამედ-



როვე, ნატოს წევრი ქვეყნების სტანდარტების დანერგვის, შეიარაღების მოდერნიზების და სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის ღირსეული სოციალური პირობების უზრუნველსაყოფად“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ჯუანშერ ბურჭულაძე: ბრძოლის, სიმამის, თავბანნირობისა და პატრიოტიზმის 30 წელი

„ამ მოკლე დროში ქართულ ჯარს მოუწია მრავალი სირთულის გადალახვა. თავდაცვის ძალების აღმშენებლობა წარმოუდგენელია იმ უდიდესი ღვაწლის გაზრდების გარეშე, რომელიც ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს ქვეყნის წინაშე მიუძღვის. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველთვის უდიდეს პატივს მივადგებთ ჩვენს გმირებს, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს და მსხვერპლი გაიღეს საქართველოს ერთიანობისთვის. სწორედ მათ გმირობასა და თავდადებაზე აშენდა ძლიერი ქართული ჯარი, რომელიც მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ჩვენს მტერს.

მიმდინარე წელი, 2020 წლის მსგავსად, აღსავსეა დიდი გამოწვევებით. მსოფლიო პანდემიასთან ბრძოლაში ჩვენმა ჯარისკაცებმა და სამხედრო ექიმებმა კიდევ ერთხელ განამტკიცეს თავდაცვის ძალების მიმართ საზოგადოების უმაღლესი ნდობა. და ყველას ნათლად აჩვენეს, რომ ჩვენი ჯარი ყოველთვის მზად არის ღირსეულად დადგეს ქვეყნის სადარაჯოზე. უკანასკნელ პერიოდში, თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში ჩვენ არაერთ თვალსაჩინო წარმატებას მივაღწიეთ და ჩვენი ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობისა და ნატოსთან თავსებადობის გაზრდასთან ერთად, შევქმენით სამხედრო მოსამსახურეების დაფასებისა და მათთვის ღირსეული პირობების განვითარების მყარი საფუძველი. არ შეგვი-

ჩერებია და მომავალშიც გაგრძელდება მასშტაბური აღმშენებლობა. არსებითად განვაახლეთ ჯარის ლოგისტიკური საშუალებები და გავზარდეთ მოზილობის ხარისხი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით ყველა მიმართულებით და დავამკვიდრეთ თანამედროვე სტანდარტები. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს საამაყო ჯარისკაცებზე.

თავდაცვის ძალების აღმშენებლობა წარმოუდგენელია იმ მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების გარეშე, რომელიც საქართველოს ნატოსთან, აშშ-თან და სხვა ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან აკავშირებს. ამ თანამშრომლობის დინამიკა ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას სხამალა განვაცხადოთ, რომ ჩვენი პარტნიორობა აშშ-თან და ნატოსთან, არასოდეს ყოფილა ასეთ მალალ ნიშნულზე. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ თავდაცვის ძალების 30 წლის იუბილეს ჩვენთან ერთად აღნიშნავს ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის მარშალი სერ სტიუარტ ფიჩი. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ მარშალს და ნატოს სამხედრო კომიტეტს ჩვენი ქვეყნისა და თავდაცვის ძალების ურყევი მხარდაჭერისთვის, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა, ჟუანშერ ბურჭულაძემ საქართველოს თავდაცვის ძალების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

## კახა კუჭავა: ამაყები ვართ, რომ ხალხსა და ქვეყანას სამშობლოზე შეყვარებული, ბრძოლისუნარიანი ჯარი იცავს

დღეს ამაყები ვართ, რომ სხვადასხვა გამოწვევის პირისპირ, ხალხსა და ქვეყანას სამშობლოზე შეყვარებული, ბრძოლისუნარიანი, თანამედროვე აღჭურვილი და მომზადებული ქართული ჯარი იცავს, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ საქართველოს თავდაცვის ძალების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მიმდინარე წელს, ისტორიულ თარიღებს ვზეიმობთ. 30 წლის წინ, თაობათა ერთობლივი ძალისხმევითა და თავდადებით შედგებულ, საქართველომ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თანამედროვე, დემოკრატიული, ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის რთულ გზას შეუდგა.

მას შემდეგ, რაც საქართველო არაერთი სირთულის წინაშე აღმოჩნდა, გავცნობი-


ერთ ჩვენი ქვეყნისათვის ძლიერი თავდაცვის ძალების აუცილებლობა. დღეს ამაყები ვართ, რომ სხვადასხვა გამოწვევის პირისპირ, ხალხსა და ქვეყანას სამშობლოზე შეყვარებული, ბრძოლისუნარიანი, თანამედროვე აღჭურვილი და მომზადებული ქართული ჯარი იცავს. ქალბატონებო და ბატონებო, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ, საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი ოკუპირებულია, ოკუპაციის შედეგები კი მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას. იზრდება საფრთხეები და მათი მასშტაბები. მუდმივად გვიწევს ინფორმაციულ და სხვა სახის ჰიბრიდულ თავდასხმებთან გამკლავება. ამ პირობებში ხალხს განსაკუთრებით ეიმედება თავდაცვის ძალები — რომ შევძლებთ ჩვენი სახელოვანი გმირების მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებას — ჩვენი ქვეყნის ერთიანი ძალისხმევით დაცვას.

## აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი:

„ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების დღიდან ერთმანეთის მეგობრები და პარტნიორები არიან. საუკეთესო თანამშრომლობის არცერთი ასპექტი ისე კარგად არ ასახავს ამ ახლო პარტნიორობას, როგორც ჩვენ შორის არსებული თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. ჩვენი სამხედროები ერთად გადიან წვრთნებს და ერთად იბრძვიან გლობალური საფრთხეების წინააღმდეგ უფრო წარმატებული და მშვიდობიანი მსოფლიოსთვის, ჩვენი საერთო თავისუფლებისადმი სიყვარულის დაცვისთვის“, — განაცხადა დეგნანი.







შეხვედრა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაში

# თბილისის ურბანული ტყე

2021 წლის 27 აპრილს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოენციო ფონდის – „განვითარება და გარემოს“ წევრებთან შეხვედრა. სხდომა გახსნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა გიორგი კვეციანიძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ: ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხუროძე და აკადემიის სხვა წევრები. მისასალმებელი სიტყვით დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა ფონდის „განვითარება და გარემოს“ თავმჯდომარე – თეიმურაზ ტყემალაძე. ამის შემდეგ კი, თბილისის ურბანული ტყის შესახებ და ამ ფრიად საინტერესო პროექტის ირგვლივ, ვრცლად ისაუბრეს ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გოჩა კობერიძემ და გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი გოცირიძემ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: ზოოლოგი, ეკოლოგიის მაგისტრი ნიკო ქერდიყოშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი შალვა (ნუკრი) სიხარულიძე და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ირინა დანელია.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერი-ასთან შეთანხმებით და ფონდი „ქართუს“ სრული დაფინანსებით ფონდი „განვითარება და გარემოს“ ასორციელებს თბილისის ურბანული ტყის ლანდშაფტის აღდგენას და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტს. პროექტის მთავარი მიზანია, არსებული ფერდის ლანდშაფტის ოთხ სეზონად გადაქცევა, რაც გულისხმობს მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეების, ასევე ბუჩქოვანი და ბალახოვანი საფარის შესაბამისი პროექტის მიხედვით განაშენიანება-რეაბილიტაციას.

საკვლევო არეალი მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ფარავს დაახლოებით 677 ჰა ტერიტორიას, რომელიც მოიცავს კუს ტბისა და მთაწმინდის პარკის მიმდებარე სივრცეებს, სამხრეთით კი ემიჯნება ოქროყანის დასახლებას. საკვლევო არეალი მოიცავს იმ ტერიტორიებს, სადაც არ შედის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მფლობელობაში არსებული

წილი ნაკვეთები და მოიცავს მხოლოდ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული-სა და სახელმწიფო საკუთრების მიწებს. „თბილისის ურბანული ტყის“ პროექტის ფარგლებში მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები – როგორც ტურისტული, ასევე სპორტული. ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის გათვალისწინებული იქნება გზები სამთო ველოსიპედების, საცხენოსნო და სხვადასხვა დამატებითი სპორტული აქტივობებისთვის. მოეწყობა ძელ-სკამები, საპიკნიკე ადგილები, საჩრდილო ბილიკები, ჩიტებზე დაკვირვების ქოხები, გარე განათების სისტემები. ამ ეტაპზე აღდგენილია 8 კმ სიგრძის საფეხმავლო ბილიკები. ამჟამად მიმდინარეობს 4 კმ-იანი ბილიკის რეაბილიტაცია. გაზაფხულის დადგომასთან ერთად, მთაწმინდის ფერდობზე ხე – მცენარეების ინტენსიური დარგვა მიმდინარეობს; გამწვანების აქციებში ოქროყანის, ტაბახმელას და სხვა მიმდებარე დასახლებების მცხოვრებლები მონაწილეობენ. პროექტის ფარგლებში კვლევები მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით – მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობის შეფასება-ენციომოლოგია, ბოტანიკა, ფიტოსანიტარია, ზოოლოგია, ლანდშაფტმცოდნეობა, გეოლოგია, გარემოს დაცვა-ეკოლოგია, ბილიკების დაგეგმარება, ტურისტული, მინიათსაკუთრება, ქალაქგეგმარება, ტრანსპორტი, არქიტექტურა. შეხვედრის დასასრულს, გამართა დისკუსია თბილისის ურბანული ტყის განვითარების საკითხებზე.

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური



# მსოფლიოს ტროპიკული ტყების ორი მესამედი უკვე განადგურებული ან დებრადირებულია

### ახლა იმედია იმედი მხოლოდ ბრაზილიისკენ არის მიმართული

**ფონდმა Rainforest Foundation Norway-მ მოამზადა გლობალური ანგარიში, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ტროპიკული ტყეების მდგომარეობას ეხება. როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, მსგავსი კვლევა პირველად ჩატარდა. აღნიშნული დოკუმენტი დედამიწის ყველა ტროპიკული ტყის შესახებ ამ დროისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას შეიცავს. ანგარიშში გაანალიზებულია 2002-დან 2019 წლამდე მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც მსოფლიოს 73 ქვეყნის ტყეებში მომხდარ ცვლილებებს ეხება.**

**რას ანბობს კვლევა?**  
კვლევის მთავარი დასკვნა: დაახლოებით 14,5 მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობის ტროპიკული ტყეებიდან, რომელიც ერთ დროს დედამიწის ზედაპირს ფარავდა, ხელუხლებელი მხოლოდ 36% დარჩა. ტროპიკული ტყეების მესამედზე მეტი (34%) მთლიანად გაქრა, დამატებით 30% კი ამა თუ იმ დონეზე დეგრადირდა. „ახლა უკვე ვიცით რამდენი ტროპიკული ტყეა დარჩენილი და რა მდგომარეობაშია ისინი. ჩვენ შევადარეთ რიცხვები, თანამედროვე ადამიანის ჩარევამდე რამდენი ტროპიკული ტყე არსებობდა. ეს ცოდნა აუცილებელია გლობალური ბრძოლის გასაფართოებლად, რათა ის მაინც შევინარჩუნოთ, რაც დარჩა“, – აცხადებს მოხსენების

ავტორი, Rainforest Foundation Norway-ის უფროსი მრჩეველი ანდერს კროგი. ფონდის მონაცემების თანახმად, მხოლოდ 2002-დან 2019 წლამდე მსოფლიომ 571 863 კვადრატული კილომეტრის ფართობის ტროპიკული ტყე დაკარგა. მეტი თვალსაჩინოებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ეს მოცულობა საფრანგეთის ტერიტორიაზე დიდია. ამავე დროს, ხელუხლებელი ტყეების ფართობი ევროპის ფართობის ნახევართან არის შედარებული.

**განსაკუთრებით რომელ ქონებისგანაა გაყვანილი განადგურებული და რატომ?**  
განსაკუთრებით აზიის ტერიტორია დაზარალდა.

დღეისათვის აქ ხელუხლებელი ტყეების მხოლოდ 7% მდებარეობს. ანგარიშის თანახმად, კუნძულ სუმატრაზე თავდაპირველი ტროპიკული ტყეების მხოლოდ 9% დარჩა ხელუხლებელი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტყეები ძირითადად ზეთის პალმის პლანტაციების გაშენების მიზნით არის გაჩეხილი, ცენტრალურ აფრიკაში კი – ტრადიციული და კომერციული მინათომქმედების, ასევე ხეების გაჩეხვის გამო. ამის მიუხედავად, კვლევა ოპტიმიზმის საფუძველსაც იძლევა.

**„დადებითი შედეგია ის, რომ ჩვენ მსოფლიოს ტროპიკული**

**ტყეების ნახევარი არ გავანადგურეთ – ეს არის განცხადება, რომელიც შეგიძლიათ სხვადასხვა ავტორიტეტულ ვებგვერდზე იხილოთ“**, – ნათქვამია ანგარიშში. თუმცა ტროპიკული ეკოსისტემები გარდატეხის მომენტს უახლოვდება. ტყეების ბუნებრივი თვითრეგულაცია კლიმატის ცვლილების გამო ირღვევა. ეს გამოწვეულია მწვანე საფარის შემცირებით, რაც, თავის მხრივ, დარჩენილი ტროპიკული ტყეების გადარჩენას ართულებს.

**და აპაზონის ტყე?**  
ამ დროისთვის ხელუხლებელი ტროპიკული ტყეების 72%

მდებარეობს ამაზონის აუზში, აქედან 42% კი – მხოლოდ ბრაზილიის ტერიტორიაზე. ამ ეკოსისტემების შენარჩუნების იმედს მკვლევრებს სწორედ ამაზონის აუზი აძლევს. თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში ამაზონი ძლიერ ანთროპოგენურ ზეწოლას განიცდის. ამის მიზეზია ის, რომ სოფლის მეურნეობის ბუმმა ფერმერები და მიწით მოვაჭრეები აიძულა, ნაკვეთები სოიოსა და სხვა კულტურების მოსაყვანად გადაეწვიათ. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამწვავდა 2019 წელს, როდესაც ბრაზილიის ახალმა პრეზიდენტმა ჟაირ ბოლსონარუმ თანამდებობა დაიკავა და გარემოსდაცვითი დონისძიებების შესუსტება დაიწყო“, – აცხადებს Reuters-ი.

როგორც ფონდის ანგარიშშია ნათქვამი, 2019 წელს განადგურებული ტროპიკული ტყეების 37% -ზე მეტი, სწორედ ბრაზილიაში დადასტურდა. „ბრაზილიას მსოფლიოში უდიდესი ტროპიკული ტყე აქვს, მაგრამ ის ასევე ყველაზე სწრაფად კარგავს მას“, – ასე დაადასტურა ზემოთ ხსენებული კვლევის შედეგები ამაზონის ეკოლოგიური კვლევის ინსტიტუტის გეოგრაფმა ანე ალენვარმა, რომელიც ამ დოკუმენტის მომზადებაში არ მონაწილეობდა.









# გვიჯობს, საქართველოს შემაღლებილობაში უვიღაით, ვიღრა რუსეთის:

„უნამუსოვანი ვინც მტერთან მშვიდობაზე ფიქრში ჩვენი დაღუპული მამებისა და ძმების საფლავებზე სდებს ფეხს, აფხაზი ხალხის მტერია!!!“. ვინც თვლის, რომ შესაძლებელია დიალოგი მათთან, ვინც ვერი გაგვინადგურა, ის ხალხის მტერია და აფხაზეთიდან უნდა გავაძევოთ!“, „სინდისგარეცხილები!!!“, – სოცქსელების აფხაზური სეგმენტი რამდენიმე კვირის განმავლობაში აჭრელებული იყო მსგავსი გამონათქვამებით. ამის მიზნად ამჯერად ორი აფხაზი ახალგაზრდა იქცა, რომელმაც საჯაროდ გამოთქვა საკუთარი აზრი სამშობლოზე, ომსა და თანამედროვე აფხაზურ სახელმწიფოში ცხოვრებაზე. მათი მთავარი გზავნილი ასეთი იყო: ქართველებისადმი სიძულვილში ცხოვრების გაგრძელება დაუშვებელია, აუცილებელია დიალოგის გამართვა და ნორმალური, ადამიანური ურთიერთობების დანერგვა.

ქსელში ვიდეოს გავრცელების შემდეგ გოგონები საბარათლადამცველ უწყებებში დაიბარეს და მკაცრად

გაესაუბრნენ. აფხაზური საზოგადოების ნაწილმა კი ისინი მყისიერად გამოაცხადა მოლაღობებდა და რესპუბლიკის დატოვება ურჩია.

მსგავს დევნას აფხაზეთში საკმაოდ ხშირად ექვემდებარებიან ისინი, ვინც საზოგადოებაში მიღებულ აზრს სცდება და ბედავს საკუთარი – განსხვავებული აზრის საჯაროდ გამოთქმას როგორც აფხაზეთის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებზე. და მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წელია, ახალგაზრდობა სულ უფრო ხშირად საუბრობს საქართველოსთან მშვიდობაზე, ნაკლებად კითხულობს პროპაგანდისტულ მასალებს და სულ უფრო მეტად სურს, იცხოვროს სხვაგვარად, თანაც არა სადმე, არამედ მშობლიურ აფხაზეთში. ცვლილებები არა და არ იწყება, ომის შემდეგ გასული 28 წლის მიუხედავად, ახალგაზრდებს კი, ბუნებრივია, სურთ, იცხოვრონ ღირსეულად და საინტერესოდ აქ და ახლა. აქვთ თუ არა მათ ამის უფლება, თუ მოსახლეობის უმრავლესობის მსგავსად, უნდა ისხდნენ და მორჩილად შეეგუონ ბედს, რომელსაც მათ ნაცვლად ვიღაც სხვა უსაზღვრავს აფხაზეთის ფარგლებს გარედან?

„ომის შემდეგ თითქმის 30 წელია გასული. მიმოიხედეთ ირგვლივ, რა შეიცვალა? – იგივენიერადაა ყველაფერი დანგრეული და გაპარტახებული. პირადად მე ცხოვრების ასე გაგრძელება არ მსურს!“, – ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე სარია. ახალგაზრდა ქალი გვიმხელს, რომ სულ უფრო ხშირად ფიქრობს

## ქართველები აფხაზური ეთნოსის გადაშენებას არ დაუშვებენ!

აფხაზეთიდან წასვლას, რადგან აღარც ვითარების შეცვლის იმედი აქვს, არც განვითარების რაიმე პერსპექტივას ხედავს.

ჩვენი კიდევ ერთი რესპოდენტი – ასლანი ამბობს, რომ აფხაზ ახალგაზრდობას აიძულებენ, ფაქტობრივად, ასკეტურად იცხოვროს, რათა, ღმერთმა არ ქნას, არ იხილოს რაიმე უკეთესი, კეთილი და არ გაუჩნდეს სხვაგვარად ცხოვრების სურვილი.

„თითქოს ჩაკეტილ წრეში ვართ. არჩევანი არ გვაქვს. აფხაზეთის ფარგლებს გარეთ განათლების მისაღებად საჭიროა ფული, თან დიდი. მსოფლიოს სანახავად ან თუნდაც რუსეთში გასასვლელად კვლავ ფულია საჭირო... სამსახური არაა, დანმარებას არსაიდან ველით. და ამას ვეძახით არჩევანის უფლებას? რას ამბობთ! ახალგაზრდობა იძულებით ეგუება ასეთ საბრალბელ ყოფას, რადგან სხვა არაფ-



ნატა მაჭარაძე თბილისელი მოსწავლეა, პატარა თვალეცქრიალა ნინველი. ეს მისი პირველი ჩანახატია, გულსთქმა, სურვილია... მონაგრებაა მისთვის ჯერარანახა და სხვათაგან მოყოლილ, ძირძველი ქართული მიწის მარგალიტზე, სოსუმზე. იგი აფხაზეთში არასოდეს ყოფილა, მაგრამ აფხაზეთი მისი სულის ტკივილია.

ნატა მაჭარაძე მისი ჩანახატი ფეისბუქვერდზე წავიკითხე, მომეწონა, სხვებსაც წავაკითხე და... ჩვენი გაზეთის საშუალებით გვსურს სიურპრიზი გავუკეთოთ დაწვევებ ავტორს. ყველას გავაგებინოთ, რა სიყვარული შეუძლიათ ჩვენს პატარებს, როგორ უყვართ მშობლიური მიწა, ის კუთხე, რომელიც არ უნახავთ, მაგრამ მათი წინაპრებისაა, საქართველოსია, მათი სუნთქვაა. სანამ ეს სუნთქვა გვატობს, ყველამ იცოდეს, ის ღამაში ქალაქი აკრია-მულდება ძველებური სიყვარულით, ისევ მიაკივლებს მღვისპირა ქალაქს მაგარელები და ღიანდაგზე ამოსული ღამაში შრომანები წარსულს ჩაბარდება. ამ შრომანებით ჩაეხუტებიან ერთმანეთს აფხაზი და ქართველი ახალგაზრდები... ღიანდაგებზე შრომანები არ უნდა იმრდებოდნენ, რაგინდ ღამაზე იყვნენ.

მამუკა ვაშაქიძე

ვეტყვი მას, როცა პირისპირ შევხვდები, მაგრამ ვიცი, მეცოდინება ის, რატომ იქნება ჩემთან...

სადაც შორს, მაგრამ ახლოს, ღიანდაგებთან, სადაც დიდი ხანია მატარებლის კივილი არაფის გაუგია, სადაც ხავსი დაძვინდებულა და არეპარე უბრალოდ მწვანეა, არის რაღაც განსაკუთრებული... წითელ შრომანებს თავი ღამაზე დაუხრიათ და ბალახმოდებული ღიანდაგებს ამშვენებენ. ღამაში წარმოსადგენია, არა?! რა თქმა უნდა, ღამაშია ის, რაც თვალთ ვერ არ გინახავს, მაგრამ იცი, რომ ღამაშია.

როცა მატარებელი გამოიფონეს, სოსუმსა და სოსუმელებს გაუხარდათ... უკვე წარმოდგინეს, როგორ მოდის ახლად

ურდა, ბავშვები აზუსუნდნენ, ჩემოდნები ისე დაფრინავდნენ, თითქოს ფრთები შეისხეს, როგორც იქნა ვაგონები დაიცალა, ერთ დროს ყველაზე ხმაურიანი მატარებელი ახლა ჩაყურდა... სამაგიეროდ, ზღვის სანაპიროა მზიანი, ცხელი და ხმაურიანი... ბავშვების სიცილი წყლისა და ტალღების ხმაურში ირევა... ვერაფერ იფიქრებს, ვერაფერ წარმოიდგენს, რომ ეს თავის ამატკივებლად ხმაურიანი სანაპირო და ჩუმი მატარებელი ასეთი აღარ იქნება...

სოსუმში არასდროს მინახავს, არასდროს ვყოფილვარ სოსუმის სანაპიროზე, არ გამიგია იქაური ხმაური, არც მიყვარია სოსუმის მათთან ერთად. მხოლოდ ახლა ვხედავ მიტოვებულ მატარებელს, რომელსაც დღემდე შემორჩენია ჩაფანტებული ფირფიტა წარწერით „თბილისი-სოსუმში“. წარწერა თითქმის აღარ ჩანს. იმ ადგილას, სადაც ხმაურიანი მატარებელი მხიარულად მიჰქროდა, ახლა უკვე გახავსებულ, გაბარდნულ, ძველსა და მიტოვებულ ღიანდაგებზე, მხოლოდ შრომანებია მაცოცხლებელი ძალა, იმ უსასრულო სიმწვანეში წითელი ღამაში შრომანებია სიცოცხლე, სიკვდილიც და სიყვარულიც... სოსუმის ის ადგილია, სადაც ვერაფერ წარმოიდგენდა, თუ ხმაურიანი მატარებელი ყვირილს შეწყვეტდა. იქ სიკვდილი დათარეშობს, მაგრამ სიკვდილსაც შეწყვარება და უსასრულობაში გადაჩენილა, ის უბრალოდ ელოდება...

მე ისევ დაგბრუნდი ღიანდაგებთან, ისევ ვფიქრობ სიყვარულზე და ხმაურიან მატარებელზე, ის შრომანები ისევ იქ არიან, იმ იმედით, რომ მატარებელი კვლავ ახმაურდება, იხმაურებს სანაპირო და ისევ ჩაივლის მატარებელი „თბილისი-სოსუმში“, დაგკრფე შრომანებს...

ჩვენ იმ შრომანებს ისევ ვაცოცხლებთ, ისევ აღვადგენთ მიტოვებულ ღიანდაგებს... და მაინც, ეს შინთვის დაკრფილი წითელი შრომანები იქნება...

# შენთვის დაკრფილი ნითვის შრომანები...



მის არ უფიქრია სიყვარულზე?! ვის არ უგრძნია... განა არსებობს სიყვარული მზე, ტყე, ყვავილი, ქალი, კაცი ან სიკვდილიც კი?!

ვის არ უფიქრია სიყვარულზე?! თავად სიკვდილიც კი ფიქრობს... მაგრამ შეიძლება სიცოცხლე სითბო იგრძნოს?

სიცოცხლე სულ აქ არის, სიკვდილიც არ გვახვეწებს, დარბის, დახტის, ხან ვის ჩუქნის ცივ კონკას – ხან ვის... ვითომ, სიკვდილსაც შეუძლია სიყვარული?! ვითომ მასაც შეუძლია ადღეგება, შეხების, ან დანახვის დროს... ვის უნახავს შეყვარებული ან ღმობიერი სიკვდილი?!...

ხშირად მიფიქრია, სიყვარული ადამიანისთვის შევძლებ სიცოცხლის დათმობას, თუნდაც ეს ამაო იყოს? განა შეიძლება, ისე შეგიყვარდეს ვინმე, რომ ერთადერთი ძივრფასი რამ, რაც გაგაჩნია, სიცოცხლე დათმო? მაშინ, სიცოცხლე არ ყოფილა ძივრფასი, არ ყოფილა ერთადერთი... რომ გითხრა ყოველ დღე ვხედავ სიკვდილს, სიყვარულს და ზეციურ ფრთების შრიალს, დამიჯერებ? არ ვიცი, რას

დაგებულ ღიანდაგებზე ხმაურიანი მატარებელი, მოჰყავს დამსვენებელთა დიდი არმია, ბავშვები ტირიან, ყვირიან, ჟივიან, დედები დაქანცულები სხედან საგარდლებზე, რომელსაც ვერ კიდევ ქარხნის სუნი ასდის... ესეც ასე... სოსუმში პირველი მატარებელი შევიდა, როგორც იქნა, უკანასკნელი ბოლი ამოუშვა, ამოიქშინა და დაღლილი გაჩერდა... ხმაურიანი მატარებელი უფრო ახმა-





მონარქი

# ხალისელსაბობანები



1962 წლის 17 ოქტომბერს თამარ მეფის სამშობლოს ჭადრაკის დედოფალი მოველინა, თუმცა, მოსკოვში განვითარებული მოვლენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უპირანი იქნება, მომავალში მაინც, ნონა ბაფრინდაშვილი, რომელმაც 21 წლის ასაკში ელისაბედ ბიკოვასთან XX საუკუნე-

ში მართლაც რომ ძველი საკვირველი გაიმეორა, ამიერიდან, შვიდმნათობიერი ნონაბრის მსგავსად, ნონა მეფედ მოვისხენით.

ისტორიული ფაქტის თვითმხილველი, რომელიც მაშინ ზუგდიდში, ახალი გვირგვინოსნის მეზობლად, პლესანოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, მიაბობდა, რომ ის სიხარული, რომელსაც იმ დაუვინყარ დღეებში ოდიში შეესწრო, მას-შტაბებით სტალინის გარდაცვალებით მოგვრილ მწუხარებას თუ შეედრებოდა. დაგვეთანხმებით, ასეთი პარალელუბის გავლენის შემდეგ კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია.

სხვათა შორის, 1962 წელი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა დღემდე უმაგალითო ტრიუმფამ დაგვიმშვენა, რომლებმაც უნევაში გრიგოლ რობაქიძის თანდასწრებით გამართულ ფინალში თვით ორი ამერიკელი პროფესიონალით გაძლიერებული მადრიდის „რეალი“ დააჩოქეს და სამშობლოში ჩემპიონთა თასით დაბრუნდნენ, მაგრამ

საბჭოეთის დედაქალაქში შობილ მილნევას მაინც განსაკუთრებული შტრიხები ამკობს.

ბუნებრივია, ვგულისხმობთ იმ ნიშას, რომელიც სწორუპოვარმა ქართულმა საჭადრაკო სკოლამ საერთაშორისო სპორტულ სამყაროში დაიმკვიდრა და თითქმის 30-წლიან პეგემონობაში გამოიხატა მაია ჩიბურდანიძესთან წყვილში.

არანაკლებ საამაყოა, რომ იგი გასცდა მხოლოდ სუსტი სქესის ჩარჩოებს და ომახიანი სიტყვა ვაჟებთან უთანასწორო ბრძოლებშიც თქვა.

ასე რომ, ტერენტი გაფრინდაშვილის ერთადერთი ქალიშვილის მიერ ხუთძმასთან და მათ მეგობრებთან ერთად ფეხბურთისა თუ ბილიარდის თამაშში გატარებულმა ბიჭურმა ბავშვობამ მოგვიანებით 64-უჯრიან დაფაზე იბარტყა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყველანი გენიალური მესხი მელექის უკვდავი სტრიქონების ჭეშმარიტებაში „ლეკვი ლომისა სწორია“...

როცა ჩვენი უნიკალური თანამემამულის ფენომენზე ვსაუბრობთ, უპირატესად უნდა დავაფასოთ მისი, როგორც თხემით ტერფამდე ეროვნული მოღვაწისა და ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი მესაძირკვლის – მისი პირველი პრეზიდენტის მიერ ღირსეულად ნაზიდი მძიმე ჯვარი.

რაც შეეხება დიდი თანამედროვეის ზნეობრივ კოდექსს, მეტადრე სულმნათი ბადრი პატარკაციშვილისადმი მისეულ იდეურ და წმინდა ადამიანური იდეალებით შეკმაბულ ერთგულებას, რაც ბევრი მედროვე კომფორმისტიც განამოარჩევს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მასზე მომავალი თაობები სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებით უნდა აღიზარდონ.

ამჯერად კრიტიკი არ დაგვიძრავს განუმეორებელი ოსტატის – ვახტანგ ქარსელაძის საყვარელი შეგირდის ტიტულებისა და რეგალიების შესახებ. მართლაც, ხომ გსმენიათ – ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშაო, მაგრამ მთავარი – ხალხის უსაზღვრო თავყანისცემა ქართველი ერის საფუძვარზე პიროვნებაზე უკვე ვარგახანია დაიმსახურა.

80 წლის იუბილეს გილოცავთ, ძვირფასო მონარქო!

გია პლატონიშვილი

## კალათბურთი

# სააღდგომო პანორამა

სააღდგომოდ ჩინებული განწყობილება შეიქმნა „ქუთაისის“ კალათბურთელებმა, რომლებმაც 2014, 2017 და 2018 წლების მსგავსად მეოთხედ მოიპოვეს ეროვნული თასი.

ფინალში კოტე ტულუშის განვრთნილმა გუნდმა მძაფრ ბრძოლაში სძლია „ოლიმპს“ – 83:81. სატიტულო მატჩის ბედი ძირითადი დროის ბოლო ნაშვებ შეხვედრის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის (MVP) – ჟოელ ალმეიდას „ოქროს“ ორქულიანმა გადაწყვიტა. მან პარტიორებს 25 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი შესძინა, ხოლო მასპინძლებს კანა ჯინჭარაძემ ულიდერა – 22 ქულა.

ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაულის წინ გავახარა აგრეთვე თორნიკე შენგელიამ, რომელიც ევროლიგის ოთხთა

ფინალის პირველი მონაწილე საპლეიოფო სერიაში ცსკა-ს „ფენერბახჩესთან“ 3:0 გამარჯვების შემდეგ გახდა.

არმიელებმა მეტოქეს გადამწყვეტი ჩხვლეტა სტამბოლში მიაყენეს – 85:68, სადაც ჩვენი ლეგიონერი, მართალია, მოკრძალებულ პირად მონაგარს დასჯერდა – 6 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი, მაგრამ კლაიბერნის შესანიშნავი თამაშის ფონზე – 34 ქულა, როგორც პოპულარულ ქართულ ფილმშია, ამჯერად, უპირველესად, ხვედელიძესავით დაცვას მიხედა...

დანარჩენი წყვილები: „ზენიტი“ – „პარსელონა“ 70:78 (1:2), „ბაიერნი“ – „მილანი“ 85:79 (1:2).

და ბოლოს – კვირის კულმინაცია: გუშინ ბერლინმა ევრო-

ბასკეტის ფინალური რაუნდის წილისწყურას უმასპინძლა და ცერემონიალს ლეგენდარულ დირკ ნოვიცკისთან ერთად ვიქ-

ტორ სანიკიძე უძღვებოდა. წინასწარ ვიცოდით, რომ თბილისში ჯვაროსნებთან ერთად ჯგუფში თურქეთი და რუ-

სეთი ითამაშებდნენ. დანარჩენი 3 ვაკანსია ესპანეთმა, ბელგიამ და ბულგარეთმა შეავსეს..

## ფეხბურთი



# ჰორიზონტზეა ინგლისური...

ისა მოხდა, რომ მადრიდის „რეალმა“ ერთ დღეს გამართა საკუთარ სარბიელზე როგორც ევროლიგის, ისე ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფის შეხვედრები, მაგრამ თუ კალათბურთელებმა „ეფესს“ თითქმის უიმედო ბრძოლა შემოუტრიალეს და 80:76 გამარჯვებით სერიაში სხვაობა შეამცირეს – 1:2, ზინედინ ზიდანის გუნდმა ამჯერადაც გაანზილა ქომაგები და „ჩელსისთან“ უპერსპექტივო ზავი გააფორმა – 1:1 (ბენზემა; პულიშჩი).

რამოსის გარეშე მოთამაშე „სამეფო კლუბი“ მადლობელი უნდა იყოს, რომ სტუმრებმა შესვენებამდე რამდენიმე სახიფათო მომენტი გაფლანგეს და სა-

პასუხო ნახევარფინალის წინ მცირედი შანსი შეინარჩუნა.

კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი „პარი სენ-ჟერმენმა“, რომლის თავკაცმა მაურისიო პოჩეტინომ შესვენების შემდეგ პირწმინდად წააგო ტაქტიკური დუელი მასზე გაცილებით გამობრძმედილ კოლეგა პეპ გვარდიოლასთან და „სიტის“ ტაიმპოლის საშუალება მისცა – 1:2 (მარკინიოსი; დე ბრუნი, მასკრეზი).

ასე რომ, პირველი ნახევარფინალური რაუნდის შემდეგ სავსებით შესაძლებელია სტამბოლში ინგლისური ფინალი ვიხილოთ, თუმცა, ვინ იცის...

## ვირუსი

# მასპილი ზურგში

სალიციანი ტურნირის წინ, რომელიც სოფიაში 6-9 მაისს უნდა გაიმართოს, კორონავირუსის პანდემიამ ოლიმპიადის მიღმა ყველა უმაღლესი საჭიდაო ტიტულის მფლობელი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65 კგ) დატოვა, რომელიც ტოკიოს ხალიჩაზე მორიგი მედლის მოპოვების რეალურ კანდიდატად განიხილებოდა.

გორელ ფალავანს პისიარ-ტესტმა უჩვენა დადებითი პასუხი და იგი მალაღობი ტემპერატურით საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ამომავალი მზის ქვეყანაში გამგზავრება სათუო გახდა ბუჯიაშვილისა (57 კგ) და მსოფლიოს ჩემპიონ ზურაბ იაკობიშვილისთვისაც, რომლებსაც ჯერჯერობით მხოლოდ სწრაფი ტესტი ჩაუტარდათ და დადებითი პასუხის შემდეგ მათ კომპლექსური გამოკვლევა ჩაუტარდებოთ.

შეგახსენებთ, რომ თავისუფალ ჭიდაობაში დღემდე სამი ოლიმპიური ლიცენზია გვაქვს მოპოვებული და მათი მფლობელები პეტრიაშვილი, კენჭაძე და ოდიკაძე არიან.

## ჩოგბურთი



# ბასილაშვილი მესამე წრეშია

უკვე გაუწყეთ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა მიუნხენში დაწყებული ATP 250 კატეგორიის ტურნირის სტარტზე საათსა და 20 წუთში ბრაზილიელი ტიაგო მონტეირო 2 პარტიაში დაამარცხა და რევანში აიღო მასთან შარშან როლან გაროსის პირველ წრეში წაგებისთვის.

გუშინ ჩვენებურის მეტოქე კოლუმბიელი დანიელ რივეროსი იყო – 6:4, 6:2 ნიკას სასარგებლოდ.

სანთელი

კახი კავსაძე


რუსთაველის თეატრი დიდი მწუხარებითა და გულსტკივილით ემშვიდობება უბადლო მსახიობს, უძვირფასეს კახი კავსაძეს.

წავიდა ჩვენგან გამორჩეული ხელოვანი, საოცარი პიროვნება, ქვეყნის რაინდი, კაცი, რომელმაც საყოველთაო აღიარება და უდიდესი სიყვარული დაიმსახურა. მისი გამოჩენა სცენასა თუ ეკრანზე სიხარულს ანიჭებდა ყველას. მის მიერ განსახიერებული როლები სამუდამოდ ჩაიბეჭდა ადამიანთა გულეში.

კახი კავსაძეს, მის შემოქმედებას კარგად იცნობენ და ეთაყვანებიან არა მხოლოდ საქართველოში...

ძალზე დიდია დანაკლისი... ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს თავის სასიქადულო შვილს.

რუსთაველის თეატრი



აუნაზღაურებელი დანაკლისი

საქართველომ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ლეგენდარული მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ყველა სახატვის საყვარელი პიროვნება

კახი კავსაძე

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი კახის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე

სიკეთითა და სიყვარულით სავსე რაინდი

„სამართელომ კიდევ ერთი გამორჩეული ადამიანი – კახი კავსაძე დაკარგა. კაცი, რომელიც ყველას გვიყვარდა. არაჩვეულებრივი მსახიობი, რომელმაც ქართული თეატრი და კინო თაობებს შეაყვარა. კახი წავიდა, მაგრამ მისი სა-

ხე სამუდამოდ დარჩება ჩვენს მოგონებებში. ამიერიდან, კახი მის მიერ შექმნილ უკვდავ როლებში განაგრძობს არსებობას. კახი ჩვენს მესხიერებაში სამუდამოდ დარჩება, როგორც ლაღი და განუმეორებელი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე რაინდი.

კახი ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი იყო და მისი წასვლა მე და ეკამ ოჯახის წევრის დაკარგვად განვიცადეთ. ამ უდიდეს დანაკლისს ვუსამძიმრებ მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, თეატრალურ საზოგადოებასა და სრულიად

საქართველოს. რთულია, როდესაც უყურებ, როგორ გვტოვებენ დიდი ქართველები, თუმცა მხოლოდ ის თუ გვანუგეშებს, რომ მათი მემკვიდრეობა უკვდავია...“

ზიქინა ივანიშვილი

საშობაობის მუშაობის სტილი ჰქონდა კოია (გურამ) გომართელს – შექმნილი მთელი კვირა რედაქციაში, საკუთარ მაგიდასთან, უფრო ხშირად, სასადილოში, ჩუმად მჯდარიყო, პატარა ფურცელზე რამდენიმე სიტყვა დაენერა, წაეშალა, რაღაც შტრიხები გაეწვია და კვირის ბოლოს რედაქტორისთვის ეტყვა – რაღაც იდეა მომივიდა, იქნებ საინტერესო იყოსო. და ეს რაღაც იდეა, პატარა ჩანახატებად და ნოველებად გადაქცეული მთელი მომდევნო კვირა იბეჭდებოდა ჩვენს ყოველდღიურ გაზეთში, ხან ნახევარი გვერდი, ხან მეოთხედი... ეს ჩანახატები და ნოველები ერთმანეთში ჩანს უნი წარსულისა და აწმყოს ლამაზი ჩუქურთმა იყო – „ძველი თბილისური მოგონებები“, „შეჩერდი წამო“, „კორიფთა ნავსაყუდი“, „დალილი კაცის ნაბიჯები“... ეს თითო ნოველის სათაური არ გეგონოთ, ამ რუბრიკებში იყო გაერთიანებული რამდენიმე ნოველა-მოგონება საინტერესო ფოტოებით.

ეს ამბავი, რაზეც ახლა უნდა მოგიტხროთ, ამ თხუთმეტობით წლის წინ მოხდა, დრო და დღე არ მახსენდება... მოგეხსენებათ, კარგა ხანია საქართველოში (სხვაგან ვერ გეტყვი) გაზაფხული და შემოდგომა გადაგვარდა – საშინელი სიცივიდან და პალტო-ქურქებიდან, ერთ კვირაში მოშიშვლებული დადის ხალხი... გაზაფხულის დადგომას ნუშის ყვავილობით და შემოდგომას ყურძნის დაკრეფით ვგრძნობთ. მოკლედ, ისეთი დრო იყო, პიჯაკები გვეცვა. ჩემი ოთახის კარი შემოაღო ჩემმა უფროსმა მეგობარმა და იმ თბილისური კილოთი დაიწყო, რომელიც მის ახალგაზრდობაში იყო და ასე ყოველთვის მასში მესაუბრებოდა, როცა კარგ ხასიათზე გახლდათ.

– ეი, იუზგარ, ესლა შენა ზემოთ ახვალ, შენს ძმა-კაც ფოტოგრაფს მოძებნი, იარაღი აისხას, საომრად მივდივართ, მერე ერთ კარგ კაცს ჩაგახუტებთ და სალამოს კაი პურიც ვჭამოთ დუქანში... არ დაიწყო საქმე მაქვს, არ მცალია... ბასტა, საქმე იმ კაი კაცსა აქვს, ვინც უნდა ვნახოთ, ჩვენ უსაქმურები ვართ...

– არის, უფროსოჯან, – მხარს ვუბამ გურამ-ბატონს და ორიოდ წუთში გამომცემლობის წინ ვდგავართ მე, გურამ გომართელი, ლევან ლომაძე და გურამის უფროს ვაჟს, ჩვენს კოლეგას, ზაზას ველოდებით.

– სად მივდივართ, გიორგივი? – შევაპარე ვითომ სასხვათაშორისოდ, ვიცი, რასაც მიპასუხებს, მაგრამ, მაინც.

– ცუდ საქმეზე არ წავიყვან იუზგარ, მაგისტრის სხვა ხალხი მყავს, თქვენ არ მემეტებით. მშრალ ხიდზე მივდივართ.

– მშრალ ხიდზე?

– ჰო, ლევანის აპარატი გავეიდოთ, აბა დუქანში პური როგორღა ვჭამოთ? – ეცინება გურამს. ამ დროს ზაზაც გამოჩნდა, წინასწარ ტაქსი გაუჩერებია და გვეძახის.

ხიდს მივუახლოვდით და კოიამ მანქანა გააჩერებინა – ჩავიდეთ, ცოტა ფეხით გავიაროთო.

დიდი მსახიობის მონოსპექტაკლი

ხელგაშლილი, ჩვენსკენ ქანაობით, თითქოს ცეკვავსო, კახი-ბატონი მოდის, გაღიმებული სახით, წვერ-მოშვებული, საოცრად შევნივს ჩალარა.

– თქვენ შემოგველეთ, თქვენა...

ყველას სათითაოდ გვეხუტება დიდი ხნის მონატრებულებივით, კოიას კი, სიყრმის მეგობარსა და თანაუბნელს კარგა ხანს ეხვევა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა...

– აი, ეს კაცი, ეს კაცი... – თითს კოიასკენ იშვერს – ეს კაცი, დიდი კაცი... იცით, რატომ? იმიტომ, რომ ლალატი არ იცის. ძველი ვორონცოველები ვართ, აი, აქედან... – ხელი მუხლებთან მიიტანა, მერე ნელ-ნელა ასწია მაღლა, გულთან გაიჩერა და თითქოს მანძილს ზომავსო, ისე დააქცერდა თავის ხელს. – აი, აქედან მოვიდვართ და აქამდე მოვედით – გულზე დაიბრახუნა გაშლილი ხელისგული, – ზემოთ, ზემოთ უკვე აღარ შეიძლება... ყელში ამოსვლა იცის.

მაღე ვგებულობ, რომ კოია გომართელს თბილისის ძველი უბნების შესახებ დაუწყია მოგონებების წერა, პირველად თავისი ბავშვობის უბნიდან, „ვორონცოვიდან“ იწყებს და კახიზე კარგს ვის იპოვნიდა, სწორედ იმ სახლთან ვდგავართ, სადაც კახიმ მთელი 55 წელი იცხოვრა.

– აქ ვცხოვრობდი, უუუჰ... – ორივე ხელი მომუჭა, მზერა ცას ალაპყრო, თითქოს ღმერთს მადლობას უხდით



სო და ერთ-ერთ თავის გმირს, ახალგაღვიძებულ ელიზბოს დაემსგავსა, მარნიდან სიმღერის ხმას რომ აყურადებს – უუუჰ, იცით, რა ხალხი ცხოვრობდა? იცით, ვის ხელში ვიზრდებოდი? – აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ჭავჭავაძე, ჩემო ბატონო, თამარი, ვიქტორ კუპრაძე... შენ ხარ ჩემი ბატონი... – თან ცრემლები მოსდის.

ვუსმენთ, მერე რა სიამოვნებით ვუსმენთ, ეს ხომ სპექტაკლია, სახელდახელოდ დადგმული სპექტაკლი... ყველას, ვისაც იხსენებს, ბაძავს, ხმით, მანერით. ვუსმენთ, ვუსმენთ არა მარტო ჩვენ, არამედ შეჩერებული გამვლელებიც, უამრავი ხალხი. კახი ვერავის ამჩნევს, ვერც გამვლელების სიყვარულიან მზერას, ვფიქრობ, ჩვენც ვერ გვამჩნევს, იქ, ნახევარი საუკუნის წინანდელ ვორონცოვზე დაფრინავს, ამ დიდი სახლის ეზოში დააგორებს ბურთს თანატოლებთან ერთად, ცელქობს, დარდობს, ნელ-ნელა იზრდება, კაცდება და ამ თხუთმეტწუთიან მონოლოგში მთელ ცხოვრებას ატევს. მერე უცებ ჩერდება, თითქოს რეჟისორის ხმა ესმის... კარგია, კარგია!!! ბრავო, ბრავისიმო!!! უცებ ყუჩდება, თითქოს ახლა შეგვამჩნიო, ციდან, თავისი ბავშვობიდან ეშვება, აფრიამულეულ ვორონცოვზე ბრუნდება და...

– ასე იყო ეს, ჩემო ბატონო!.. იყო... იყო, და აღარ იქნება, ახლა ზაარბრიუკენი დაურქმევიათ. – შემდეგ საათზე დაიხედა.

– აბა, დავიდოვიჩ, წავედით დუქანში, ჩვენი ბავშვობის გახსენების დაველით, თითო „სტაქანი“, – თითო აჩვენებს კოია, თუ რამხელა ჭიქებით აპირებენ დალევას.

– აბა... შენ არ მომიკვდე, ვერ ხედავ რამხელა წვერი მაქვს მოშვებული, გადაღებაზე მაგვიანდება, – საათს კიდევ ერთხელ დახედავს. – სხვა დროს იყოს... როგორ ატარებენ, კაცო წვერს, ვერ შე-ვე-ჩვი-ეეეე. – წაიმღერა და დაგვემშვიდობა.

მიმრმ დღეს, ჩემი კოია (ან როდის მოასწრო, შუალამემდე დუქანში გავატარეთ) შესანიშნავ ჩანახატს მოიტანს: „კორიფთა ნავსაყუდი – ჩემი ბავშვობის სახლი“. იმავე ნომერში დაიბეჭდება.

ორი წელია ჩემი უფროსი მეგობარი, ჩემი კოია – გურამ გომართელი აღარა გვეყავს, უფრო სწორად თბილისს არა ჰყავს თავისი მემამათიანე, კოლორიტი და მომწერებელი, მე დამრიგებელი, გვერდში მდგომი და ცხოვრების მასწავლებელი. ორი დღეა კახი კავსაძემაც მიგვატოვა, უფრო სწორად მთელი საქართველო მი-ატოვა. ნავიდნენ ისე, როგორც კაცები, ჩვენთან დარჩნენ, როგორც ლეგენდები, თავიანთ მძიმე, მაგრამ ლამაზ ბავშვობაში გაფრინდნენ... ეს, ერთი მსახიობის მონოლოგი-სპექტაკლი კი მთელი ცხოვრება მემახსოვრება. მე ლევან ლომაძის გადაღებული ეს ფოტო დამრჩა და კიდევ რამდენი მოგონება... ეს იყო თხუთმეტი წლის წინ.

თამაზ შილაკაძე



ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გერმანელმა ხელოვნებათმცოდნე ნორბერტ ებრმანმა ქართველ არტისტზე ღია წერილი.

სალომე ქელიძე რომელსაც ეს საოცარი შეფასება გერმანელმა მიუძღვნა, მართლაც საოცრად საინტერესო მხატვარია, რომელიც დღითიდღე მეტად პოპულარული ხდება საქართველოს ხელოვნების მოყვარულების ფართო წრეებში, სალომე დაიბადა და გაიზარდა ქართულ-ფრანგულ ოჯახში, მამის მხრიდან ის ფანიოების მეშვეობით, ეს გვარი ხშირად გვხვდება საქართველოს მრავალ კუთხეში, ფანიოების გვარს უკავშირდება ცნობილი „ირინეს პარკი“ ზესტაფონში ფრანგი ლანდშაფტ-დეკორატორებისა და არქიტექტორების გენმა თამამად შეგვიძლია ვთქვათ თუ როგორ იფეთქა შვილიშვილის ცხოვრებაში.

## „გოგონა საქართველოდან სოსრებებს ქმნის“

რებისა და არქიტექტორების გენმა თამამად შეგვიძლია ვთქვათ თუ როგორ იფეთქა შვილიშვილის ცხოვრებაში.

უპირველეს ყოვლისა საინტერესოა სალომეს მონაკა, რომელიც ტილოზე ზეთის ფიგურებით სრულდება, გაოცებას იწვევს მისი ფერთა გამა და საუცხოო ტექნიკა, ადამიანებს სალომეს ნამუშევრებში დაუჯერებელი ასოციაცია უჩნდებათ, რადგან თითოეული ფერწერული ტილო ფლორენციულ შუშას ან ქვევში აწყობილ მონაკურ კომპოზიციას მოგვგონებს. ძალიან მდიდრულია მხატვრის მინიატიურული ნახატებით აწყობილი თევზები.

სალომეს წარმატება თბილისში დაიწყო. მისი საუცხოო გემოვნება თავდაპირველად რესტორან „გორგასალის“ ინტერიერს უკავშირდება. მამის თხოვნით სალომემ აქტიურდონანწილეობა მიიღო რესტორნის ინტერიერის დიზაინში. რესტორან „გორგასალში“ თითო დარ-



ბაზი გადმოგვცემს თბილისურ მრავალენოვან მრავალრელიგიურ კულტურას, „გორგასალში“ უამრავ ცნობილ ადამიანებს შორის სტუმრების სიაში ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც იყო. სალომე ბავშვობიდან ხატავს, თუმცა მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც აქტიურად ეწევა ამ საქმიანობას. თბილისში, არტ გალერეიმ პერსონალური გამოფენით უმასპინძლა, დამთვალიერებელთა შორის იყვნენ საფრანგეთის ელჩი დიეგო კოლასი, არტ ექსპერტები და საქართველოს მხატვართა ასოციაციის ხელმძღვანელები. სალომეს ნამუშევრები შეფასდა როგორც უნიკალური, სალომეს ტილო „ნაპოლეონი“ საფრანგეთის ელჩმა საფრანგეთის საელჩოში განათავსა, ხოლო ტილო სახელწოდებით „გამოფენა“ ნათელა იანქოშვილის მუზეუმში არის გამოფენილი. გარდა ამისა, მხატვრის არა ერთი ნამუშევარი შესულია სამხატვრო ნიგ-

## გამარჯვებულს - „ოქროს დინოზავრი“

წელს პირველად ქუთაისში საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი გაიმართება. ფესტივალი 8 მაისს, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატურ თეატრში, რეზო გაბრიანიძის ფილმის „პირი პარალელ დედამ“ ჩვენებით გაიხსნება.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება მიხელ კობახიძისა და ელდარ შენგელიას ფილმების სპეციალური ჩვენებები. ფესტივალი 12 მაისამდე გაგრძელდება, გამარჯვებულები კი „ოქროს დინოზავრით“ დაჯილდოვდებიან. მომავალი წლიდან იგი ყოველწლიურად, შემოდგომაზე გაიმართება.

ჩვენ მომსწრენი ვართ საქართველოში კიდევ ერთი საერთაშორისო კინოფესტივალის დაბადების. ეს არის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი ქალაქ ქუთაისში. ქუთაისის ძალიან დიდი ისტორია აქვს ზოგადად ქართული კინოს განხრით, რადგან ძალიან ბევრი ფილმი შექმნილა აქ, ბევრი რეჟისორი

მოღვაწეობდა ადრე, თუმცა შემდეგ იყო გარკვეული წყვეტა და ახლა, ამ ფესტივალით გვინდა, მაყურებელი დავაბრუნოთ კინოთეატრებში. საბედნიეროდ, ქუთაისის აქვს კინოთეატრი ოთხი დარბაზით, რაც იშვიათია საქართველოში, ჩვენებები გაიმართება ყველა რეგულაციის დაცვით, რომელსაც მოითხოვს დღევანდელი პანდემიური სიტუაცია. ძალიან საინტერესო პროგრამა აქვს საორგანიზაციო ჯგუფს, რამდენიმე ჟიური იმუშავებს, - განაცხადა ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ.

ქუთაისის კინოფესტივალის გენერალური დირექტორის ნინო მხეიძის თქმით, ქუთაისში მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი შარშან ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პანდემიის გამო გადაიდო.

„ფესტივალის კონკურსში ფილმების მიღება როდესაც გამოვაცხადეთ, 500-მდე ფილმი შემოვიდა. ორი საკონკურსო ჩვენება გვაქვს, ათი წუთიდან ნახევარ საათამდე ფილმების კონკურსში 15 ფილმი იღებს მონაწილეობას. თხუთმეტი ფილმიდან სამი ქართულია, დანარჩენი არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ერთი წუთიდან ხუთ წუთამდე ფილმებში ოცდარვა ფილმი იღებს მონაწილეობას და სადაც უფრო მეტი შემოსულია ქართული ფილმი.

გვაქვს უჩვეულო პრიზი, ოქროს დინოზავრი, რაც ქუთაისს უკავშირდება - დინოზავრის ნაკვალევი. ეს პრიზები გაიცემა სხვადასხვა ნომინაციაში. წელს ფესტივალზე დასწრება იქნება უფასო, - განაცხადა ნინო მხეიძემ.

ქუთაისის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი Kutaisi International Short Film Festival



## პანდემია სასიკეთოდ წაადგა

ჩრდილოეთი კაროლინის ქალაქ სოლსბერიში მცხოვრები 12 წლის მაიკ უიშერი სკოლაში და კოლეჯს ერთსა და იმავე კვირაში ამთავრებს. პანდემიისა და აკრძალვების შედეგად გაორწიანი კოლეჯის სრული პროგრამა ათთვისა.

მაიკ უიშერი როუან-კაბარუსის სათემო კოლეჯს 21 მაისს, კონკორდის უმაღლეს აკადემიურ სკოლას კი 28 მაისს დაამთავრებს. სკოლაში მისი დიპლომის საშუალო ნიშანი (ე.წ. GPA) 5,45-ს, კოლეჯში კი 4,0-ს შეადგენს. 12 წლის ბიჭის თქმით, დიპლომების აღების შემდეგ მას არჩევანის გაკეთება მოუწევს. რამდენიმე ამერიკული და უცხოური კომპანია მაიკ უიშერს სამსახურს სთავაზობს, ზოგიერთი უნივერსიტეტი კი მზად არის მაიკის სტარტაპის დასაფინანსებლად სტიპენდია გამოეყოს.

„გადანწყვეტილება ჯერ მიღებული არ მაქვს, მაგრამ მინდა, ხალხმა იცოდეს, რომ მე ჯერ კიდევ ბავშვი ვარ. მიყვარს კალათურთის თამაში და „ლეგოს“ აწყობა. ხალხი ალბათ ფიქრობს, რომ მე ბავშვობა დავკარგე, მაგრამ ეს ასე არაა,“ - ამბობს მაიკი.

## პარლისფარი სუპერმთვარე გამოჩნდა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფოტოგრაფების ობიექტივებში ვარდისფერი სუპერმთვარე მოხვდა. შთამბეჭქდავი ასტრონომიული ფიქსირდა.

სუპერმთვარედ დედამიწის თანამგზავრი მაშინ ითვლება, როცა პლანეტასთან უმოკლესი დისტანციის 10%-ის ფარგლებში მდებარეობს. აპრილში ამ მოვლენას „ვარდისფერ სუპერმთვარეს“ უწოდებენ, იმ ყვავილების პატივსაცემად, რომლებიც გაზაფხულის მეორე თვეს ყვავის.



სკ

უსტორიული პალატის ქარსი: აუზ ფონი - 3.4529; პარკი - 4.1666; ბრიტანული პირაპნა სტარლინი - 4.7912; 100 რუბლი - 4.6217; თურქული ლირა - 0.4216; აზერბაიჯანული მანათი - 2.0290; 1000 სომხური დრამი - 6.6385.

აპრილი 30 აპრილისთვის

აღმოსავალი	სამარტოვილი			
ბარბი	ლამა	+9,	ღვ	+25
მთიანი რამონა	ლამა	+4,	ღვ	+23
დასავალი	სამარტოვილი			
ბარბი	ლამა	+10,	ღვ	+25
მთიანი რამონა	ლამა	+5,	ღვ	+23
თბილისი	ლამა	+13,	ღვ	+24

დაგვიკავშირდით, მოგვწერით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი: სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი: მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35 შპს „თანაღმომბა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორი“ ე. ბაღდავაძის №3

კოლორი ჰაუზი uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ავტორთა სახურადლეხოდ! რედაქციის მიერ შეუპოვებელი მასალაზე დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსახრება-ბი, შესაძლოა, გუდაამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიუხსტეზე პასუხს ავებან ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 5 მაისს